საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

GIP პოლიტიკის მემორანდუმი ოქტომბერი 2024 / გამოცემა #75

ვის ირჩევს საქართველო 2024 წელს? საარჩევნო სუბიექტები - უპირატესობები და სისუსტეები

ნინო სამხარაძე[1]
ნინი კვირიკაშვილი[2]

2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ქართულმა საზოგადოებამ არა მხოლოდ პარლამენტი და მთავრობა უნდა აირჩიოს, არამედ ქვეყნის ეგზისტენციალური საგარეოპოლიტიკური ვექტორიც საბოლოოდ უნდა განსაზღვროს. მმართველმა "ქართულმა ოცნებამ", ბოლო წლების განმავლობაში, ქართველი ხალხის მიერ არჩეული დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი და დემოკრატიული განვითარება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ამ პერიოდში, ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება, ადამიანის უფლებების დაცვა და ღირებულებებზე დაფუძნებული პროდასავლური საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე დადგა, რამაც საქართველო საერთაშორისო იზოლაციისა და საშინაო რეპრესიების რისკის წინაშე დააყენა. შესაბამისად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები საყოველთაო აღიარებით ერთგვარ რეფერენდუმად აღიქმება (ზურაბიშვილი 2024, Linderman, 2024; Thornton 2024), რომელმაც საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიული და ევროპული მომავალი უნდა გადაწყვიტოს.

ამგვარ მოცემულობაში, კრიტიკულად იზრდება პროდასავლური ოპოზიციური სპექტრის მნიშვნელობა -და ბუნებრივია იბადება კითხვა თუ როგორია ზოგადი სურათი და რამდენად მზად არიან ოპოზიციური საარჩევნო სუბიექტები მმართველ პარტიასთან კონკურენციაში შესასვლელად. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ოქტომბრის არჩევნები ახალი

[1] ნინო სამხარაძე არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პოლიტიკის ანალიტიკოსი.
[2] ნინი კვირიკაშვილი არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის უმცროსი პოლიტიკის ანალიტიკოსი.

სრულად პროპორციული სისტემით ტარდება და ქართულ ოცნებას, რომლის მხარდაჭერაც, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მიხედვით, კლებადია (Caucasus Barometer n.d.), ძალაუფლების მყარად შესანარჩუნებლად საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება სჭირდება. მიუხედავად მმართველი პარტიის რეიტინგული მოწყვლადობისა, წინასაარჩევნო პერიოდი ამ ეტაპზე არ იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ოპოზიციურ მოთამაშეებს არჩევნებში თუნდაც ჯამური გამარჯვება გარანტირებული აქვთ. ამ ფონზე, საინტერესოა იმის მიმოხილვა, თუ რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ 2024 წლის ოქტომბრისთვის იმ ძირითად აქტორებს, რომლებსაც ქართველმა ამომრჩევლებმა საარჩევნო ყუთთან უნდა დაუჭირონ მხარი და ანდონ ძალაუფლება, რომელმაც, საბოლოო ჯამში, ქვეყანა პროდასავლურ და დემოკრატიულ რელსებზე უნდა დააბრუნოს.

წარმოდგენილი პოლიტიკის მემორანდუმის ფარგლებში შერჩეულია ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც "ედისონ რისერჩის" ბოლო გამოკითხვების შედეგად (Formula News 2024), ბარიერის გადალახვის შანსებს ფლობენ, ესენია: ***ქართული ოცნება, ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა, გახარია საქართველოსთვის, ძლიერი საქართველო, და კოალიცია ცვლილებებისთვის.*** მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი სუბიექტებიდან სამი მათგანი წინასაარჩევნო მობილიზების ფარგლებში გაერთიანებულ პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი სამი არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობს. თითოეული მოთამაშე გაანალიზებულია სამი ძირითადი მიმართულებით: ***ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები და მათი კომბინაცია*** (ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება ერთდროულად დადებითად და უარყოფითად იმოქმედოს პარტიის ელექტორალურ წარმატებაზე). რა თქმა უნდა, შემოთავაზებული ანალიზი არ არის ყოვლისმომცველი, თუმცა, ვთვლით, რომ ტექსტი, შესაძლოა, საინტერესო იყოს როგორც ამომრჩევლისთვის, პოლიტიკური პარტიებისთვის, ასევე ქართველი და უცხოელი დამკვირვებლებისთვის.

ბრძოლა მარტო? ქართული ოცნება, გახარია საქართველოსთვის

საარჩევნო სუბიექტები, რომლებსაც არჩევნებში მონაწილეობა რომელიმე ძალასთან კოლაბორაციის გარეშე აქვთ გადაწყვეტილი, წინასაარჩევნოდ საკმარისი სახალხო მხარდაჭერის დამოუკიდებლად მობილიზებაზე მნიშვნელოვან პრეტენზიას აცხადებენ. ამ ეტაპზე, ანგარიშგასაწევ დამოუკიდებელ პარტიებად მიიჩნევიან *ქართული ოცნება,* რომლის გაცხადებული ამოცანა საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაა, თუმცა შესაბამის საზოგადოებრივ მხარდაჭერას არც ერთი ავტორიტეტული კვლევა არ ადასტურებს; და

გახარია-საქართველოსთვის, რომელიც საკუთარ თავს უმცირესობის კოალიციის ძლიერ ნაწილად ხედავს.

- ***ქართული ოცნება: ლევიათანი ქართულ პარტიულ პოლიტიკაში***

"ქართული ოცნება" 2012 წლიდან საქართველოს ხელისუფლებაშია, რომელ პერიოდშიც პარტიამ ჯამში რვა არჩევნები მოიგო (3 საპარლამენტო, 3 ადგილობრივი და 2 საპრეზიდენტო), თუმცა ელექტორალური მხარდაჭერის კლებადი ტენდენციით. ამ ეტაპზე, "ქართული ოცნება" ერთადერთი პარტიაა, რომელიც საკონსტიტუციო უმრავლესობაზე აცხადებს პრეტენზიას და შესაბამისად, მისი საარჩევნო ამოცანა - მიიღოს საპარლამენტო მანდატების 3/4 - გაცილებით რთულ გამოწვევას წარმოადგენს (კობახიძე 2024). ამ მოცემულობაში, მმართველ პარტიას გარკვეული უპირატესობები და სისუსტეები გააჩნია (ცხრილი 1), რომლებიც, საბოლოო ჯამში, პარტიის ელექტორალური შედეგების შესახებ გარკვეულ წინასწარ წარმოდგენას ქმნის.

საკუთარი საარჩევნო ამოცანის მიღწევის გზაზე, ***"ქართული ოცნების" უპირატესობებს*** შორის, შეიძლება მოვიაზროთ რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც, დიდი ალბათობით, პარტიის სასარგებლოდ იმუშავებენ. პირველ რიგში, ეს არის მმართველი პარტიის სტატუსი, რომელიც, ერთი მხრივ, მას სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ და ინსტიტუციურ რესურსს აძლევს, რაც, ქართულ პოლიტიკურ კულტურაში წინასაარჩევნო კამპანიის არაოფიციალურ, თუმცა ტრადიციულ ნაწილად მიიჩნევა. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია თბილისს მიღმა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში - დიდ და საშუალო ქალაქებში, სადაც სხვადასხვა რეკონსტრუქციული და აღდგენითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს (იმედი 2024a, b). გარდა ამისა, მმართველი პარტიის სტატუსი "ქართულ ოცნებას" საკუთარ პარტიულ მხარდამჭერებს მიღმა ხმების მოზიდვის პროცესში ადმინისტრაციული რესურსების ეფექტიანად გამოყენებაზე გარკვეულ წვდომას აძლევს (ISFED 2024), რაც, როგორც წესი, სახელისუფლებო პარტიებისთვის ელექტორალური მაჩვენებლების გაზრდის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. "ქართული ოცნების", როგორც საარჩევნო სუბიექტის, კიდევ ერთ უპირატესობად შეიძლება მივიჩნიოთ პარტიის საარჩევნო პროცესში მონაწილეობის სტაბილურობა - ქართული ოცნება 2024 წლის არჩევნებზე იქნება ერთადერთი პარტია, რომელსაც ყველაზე მეტ არჩევნებში ერთი და იმავე სახელით, ნომრითა და ვიზუალური იდენტობით აქვს მონაწილეობა მიღებული. ამომრჩევლისთვის, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა ეს განზომილება ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ გადამწყვეტი ფაქტორი იყოს სასურველი კანდიდატის არჩევის პროცესში. და ბოლოს, "ქართულმა ოცნებამ" 2024 წლის არჩევნების საარჩევნო სიაში

მრავალი ავტორიტეტული და ცნობადი კანდიდატები წარადგინა, როგორიცაა, მაგალითად, ოლიმპიური ჩემპიონები, ცნობილი სატელევიზიო სახეები და სხვა (ქართული ოცნება 2024a).

წარმოდგენილ უპირატესობათა ნაწილი, შესაძლოა, ერთდროულად ***"ქართული ოცნების" სისუსტესაც*** წარმოადგენდეს და, პარალელურად, პარტიის საარჩევნო შედეგებზე უარყოფითად აისახოს. მაგალითისთვის, პარტიის გრძელვადიანად ხელისუფლებაში ყოფნა, მისი არაპოპულარული, ანტიდემოკრატიული ნაბიჯებისა და არცთუ ისე მაღალი პოზიტიური შეფასებების (23%) ფონზე, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში მმართველობაში ცვლილების დაკვეთას აჩენს (Caucasus Barometer 2024; Formula 2024). გარდა ამისა, პარტიის აქილევსის ქუსლს წარმოადგენს ის რომ ფაქტი რომ, ძირითადად, ერთი ადამიანის - ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის პირდაპირი მმართველობის ქვეშ მოქმედებს. ეს ჩანს რამდენიმე ფაქტორში - ერთი მხრივ, პარტიის და მთავრობის წევრების ზედმეტად ხშირ და მექანიკურ როტაციაში, რომელიც შიდაპარტიული დემოკრატიის ნაკლებობისა და გადაწყვეტილების მიღების ცენტრალიზების ნიშანია; ხოლო მეორე მხრივ, პარტიის ლიდერების რიტორიკაში, რომლის მიხედვითაც, ბიძინა ივანიშვილი არა მხოლოდ პარტიის, არამედ ქვეყნის სტაბილურობის გარანტიაა (კალაძე 2024); და ბოლოს, განსაკუთრებით კრიზისული მომენტისას, ბიძინა ივანიშვილის აქტიურ პოლიტიკაში და საარჩევნო სიის სათავეში დაბრუნება, აჩენს განცდას, რომ პარტიის ძალა და სანდოობა შერყეულია და მას დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვებისთვის.

გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამომრჩევლისთვის შეთავაზებული ემოციური და პრიმიტიული წინასაარჩევნო გზავნილები, ძირითადად, ნაციონალურ-პოპულისტური, რადიკალურად ანტიდასავლური რაც პრინციპულად დამაზიანებელია ქვეყნის დემოკრატიული და ევროპული მომავლისთვის. ეს გზავნილები ასევე წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ აზრთან, და სავარაუდოა, რომ "ქართული ოცნება" ამ შინაარსების წარმოდგენით მისი მზარდი ავტოკრატიული მმართველობისგან გადაღლილობის ფონზე ამომრჩევლების მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგავს. ამას ისიც ემატება, რომ პარტიას არც შიდაპოლიტიკურ და არც საგარეოპოლიტიკურ ასპარეზზე არ ჰყავს სტაბილური პარტნიორები და მეგობრები. შიდაპოლიტიკურ განზომილებაში, "ქართული ოცნება" რეპრესიულ ნარატივებს მიჰყვება (ქართული ოცნება 2024b), რაც არა უბრალოდ ზრდის დამაზიანებელი პოლარიზაციის პერსპექტივას პარტიის არჩევის პირობებში, არამედ საერთოდ აქრობს სივრცეს სამომავლო ინტერპარტიული დისკუსიისა და თანამშრომლობებისთვის, რაც არა მხოლოდ საკუთარი ამომრჩევლის, არამედ, ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი წინაპირობაა.

ცხრილი 1: პარტია "ქართული ოცნების" წინასაარჩევნო უპირატესობები და სისუსტეები

ისტორიული სტაბილურობა	გამარჯვება 8 არჩევნებში, რაც, სხვა პარტიებთან შედარებით, ყველაზე დიდი მაჩვენებელია. შესაბამისად, პარტიას აქვს სტაბილური პროფილი.	გრძელვადიანი მმართველობის შედეგად საზოგადოებაში გაზრდილია გადაღლილობა და ცვლილების დაკვეთა.
ვიზუალური იდენტობა	სტაბილურობის გამო, ამომრჩევლისთვის ადვილია პარტიის იდენტიფიცირება.	
პარტიის შემადგენლობა	საზოგადოებისთვის ცნობილი და პატივსაცემი სახეები პარტიულ სიაში, როგორიცაა, მაგალითად, ოლიმპიური ჩემპიონები.	ერთპიროვნული ლიდერი; ქალებისგან პარტიის მმართველი წრეების დაცლა.
რესურსები	ადმინისტრაციულ რესურსზე წვდომა; ოფისებისთვის, მათ შორის რეგიონული ოფისებისთვის, შესაბამისი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.	
წინასაარჩევნო შინაარსი	შინაარსი ემოციურია, მარტივია და იქცევს ამომრჩევლის ყურადღებას.	გზავნილები პოპულისტური, ბუნდოვანი და არათანმიმდევრულია.
შიდაპოლიტიკური ურთიერთობები		უკიდურესი მაპოლარიზებელი, გამრიყავი და

		არათანამშრომლობითი ნარატივები.
საერთაშორისო ურთიერთობები		პარტიის იზოლირება და დასავლელ სტრატეგიულ პარტნიორებთან გაუცხოება; არასანდო და არალიბერალურ აქტორებთან მზარდი ასოცირება.

წყარო: *ავტორების მიერ დამუშავებული მასალა*

- ***გახარია-საქართველოსთვის: "მესამე ძალა" ბევრს შორის?***

პარტია "გახარია-საქართველოსთვის" დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოთამაშედ 2021 წელს გამოჩნდა, თუმცა ის "ქართული ოცნების" ერთგვარი განაყოფი პარტიაა და შესაბამისად, მისი ლიდერებისა და წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოცდილი და საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ნაცნობი სახეები არიან. ამავდროულად, პარტია საპარლამენტო ოპოზიციურ სუბიექტად პოზიციონირებს. ამ დრომდე, პარტიას მხოლოდ 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში აქვს მონაწილეობა მიღებული და იმის გათვალისწინებით, რომ ეს პარტიისთვის პირველი არჩევნები იყო, შეიძლება ითქვას, რომ მან ანგარიშგასაწევი წარმატება დააფიქსირა და ქვეყნის 69 მუნიციპალიტეტიდან შვიდ მათგანში საკრებულოს დაკომპლექტებაში მიიღო მონაწილეობა (ჩიჩუა 2021). პარტიას აქვს გაცხადებული პოზიცია, რომ 2024 წლის არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, ორი წამყვანი პარტიიდან არც ერთთან არ სურს თანამშრომლობა და უმცირესობის კოალიციას ლიდერობას ისახავს მიზნად. ამ მოცემულობაში, საინტერესოა ის უპირატესობები და სისუსტეები (ცხრილი 2), რომლებმაც, პარტიას სასურველი ელექტორალური შედეგი უნდა მოუტანოს.

<u>პარტია "გახარია-საქართველოსთვის" უპირატესობებს</u> შორის რამდენიმე ფაქტორი შეიძლება გამოიყოს. პირველ რიგში, ეს არის ერთადერთი ოპოზიციური პარტია, რომელიც ამჟამინდელი მმართველი "ქართული ოცნების" განაყოფი პარტიაა და შესაბამისად, მის ლიდერებსა და წევრებს სახელმწიფო მართვასთან წვდომის გამოცდილება აქვთ, რაც მათ მნიშვნელოვნად დაეხმარება როგორც შესაბამისი პროგრამების ჩამოყალიბებაში, ისე ადმინისტრაციული რესურსების სხვადასხვა განზომილებებთან წვდომის შენარჩუნებაში. ამასთან, "ქართული ოცნების" ყოფილი პროევროპული მხარდამჭერებისთვის, "გახარია-

საქართველოსთვის" მიზიდულობის ყველაზე კომფორტულ და საიმედო ცენტრად მიიჩნევა. პარტიის შემადგენლობა, რომელიც მნიშვნელოვან ავტორიტეტულ პროფესიონალებს მოიცავს წევრებისა თუ მრჩევლების სტატუსით, ერთი შეხედვით იძლევა იმის განცდას, რომ პარტიის შიგნით საგნობრივი დისკუსიის სივრცე და კეთილი ნება არსებობს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ პარტია, როგორც პროდასავლური ოპოზიციური ფლანგის ნაწილი, ამომრჩევლის თვალში მარტივად მიიჩნევა ფართო ბანაკის ნაწილად, რაც დამატებით პოზიტიურ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც "გახარია - საქართველოსთვის" პრეზიდენტის "ქართულ ქარტიას" შეუერთდა (რადიო თავისუფლება 2024b). საკრებულოებში ინტერპარტიული თანამშრომლობის გამოცდილება, ასევე, გიორგი გახარიასა და მამუკა ხაზარაძეს შორის წინასაარჩევნო თანამშრომლობის მცდელობა, პარტიის დამატებით ღირებულებად შეიძლება მივიჩნიოთ.

თუმცა, ეს უკანასკნელი ფაქტორი, შესაძლოა, ამომრჩეველმა ასევე ადვილად აღიქვას ***<u>პარტია გახარია-საქართველოსთვის" სისუსტედ</u>***. პარტიას დაანონსებული აქვს, რომ ის არ შექმნის სამთავრობო კოალიციას არც "ქართულ ოცნებასთან" და არც "ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან", ორ ელექტორალურად ყველაზე დიდ ძალასთან. შესაბამისად, თუ პარტია ვერ შეძლებს უმცირესობის კოალიციის ჩამოყალიბებას (რისი რისკიც რეალურია), "გახარია-საქართველოსთვის", შესაძლოა, ოპოზიციური კოალიციის შექმნის პროცესში "ქართული ოცნების" დაბალანსების ამოცანის ერთგვარ შემაფერხებელ ფაქტორად და პოსტსაარჩევნო საპარლამენტო კრიზისის მიზეზად იქცეს. საკრებულოების ფარგლებში, ენმ-სთან შემდგარი კოალიციების და შემდეგ მათი დაშლის გამოცდილება პარტიის მიმართ საზოგადოების ნდობას რისკის ქვეშ აყენებს. გარდა ამისა, პარტიის იმიჯისთვის ერთდროულად მნიშვნელოვან რისკად და უპირატესობად შეიძლება მივიჩნიოთ პარტიის ლიდერის ფაქტორი. ერთი მხრივ, 2019 წლის ე.წ. „გავრილოვის ღამის" დროს, მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი გახარიას შესახებ ნეგატიური მეხსიერება დღესაც აქტუალურია (რადიო თავისუფლება 2024a). მეორე მხრივ კი, პრემიერ-მინისტრობისდროინდელ ძლიერი ლიდერის იმიჯს მისთვის დღემდე ანგარიშგასაწევი დივიდენდები მოაქვს საზოგადოებაში მიმღებლობის თვალსაზრისით. ამიტომაცაა, რომ მისი სახელი პარტიის დასახელებაშიც ფიგურირებს. საინტერესოა ისიც, რომ "გახარია - საქართველოსთვის", გაცხადებული პროევროპული პლატფორმის მიუხედავად, ამ დრომდე არ გამოსულა რომელიმე ევროპულ პარტიულ ჯგუფთან ასოცირების ინიციატივით, რაც პარტიას დასავლურ პოლიტიკურ ელიტებს შორის მნიშვნელოვან კავშირებს და პოტენციურ პოლიტიკურ მხარდაჭერას მოუტანდა.

ცხრილი 2: პარტია "გახარია-საქართველოსთვის" წინასაარჩევნო უპირატესობები და სისუსტეები

ისტორიული სტაბილურობა	მმართველობაში ყოფნის გამოცდილება; პირველი არჩევნების პოზიტიური გამოცდილება.	ე.წ. "გავრილოვის ღამის" ნეგატიური მეხსიერება საზოგადოებაში.
ვიზუალური იდენტობა	ლიდერზე ორიენტირებული დასახელება	
პარტიის შემადგენლობა	ავტორიტეტული და გამოცდილი ფიგურები წევრებად ან მრჩევლებად პარტიის შემადგენლობაში.	პარტიის საარჩევნო სიის ოცეულში მხოლოდ 6 ქალია, ხოლო ათეულში მხოლოდ 2.
რესურსები	მმართველობაში ყოფნის მემკვიდრეობა / ადმინისტრაციულ რესურსებთან გარკვეული კავშირი.	
წინასაარჩევნო შინაარსი	გაცხადებული პროევროპული და პროდემოკრატიული პლატფორმა.	
შიდაპოლიტიკური ურთიერთობები	მოლაპარაკებების და ინტერპარტიული თანამშრომლობის გამოცდილება.	პარტიის გაცხადებული პოზიციიდან გამომდინარე, კოალიციური მთავრობის შემადგენლობაზე შეთანხმების პროცესში არსებული პოტენციური რისკები.
საერთაშორისო ურთიერთობები	დასავლეთთან არც განსაკუთრებული მჭიდრო კავშირების და არც პრობლემური ურთიერთობების არსებობა.	

წყარო: ავტორების მიერ დამუშავებული მასალა

- *ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა: ჯერ კიდევ ყველაზე მსხვილი ოპოზიციური ძალა*

“ერთიანობის” პარტიულ სიაში სამი პარტიაა გაერთიანებული: “**ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”, “სტრატეგია აღმაშენებელი” და “ევროპული საქართველო”**. ეს ოპოზიციური გაერთიანებული ცენტრი ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის, ენმ-ის გარშემო გაერთიანებულ სუბიექტებს ეფუძნება და შესაბამისად, სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, მოსალოდნელია, რომ ეს ცენტრი “ქართული ოცნების” შემდეგ ყველაზე მაღალი ელექტორალური მხარდაჭერის მქონე საარჩევნო სუბიექტი იქნება. თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნული გაერთიანების ყველაზე მსხვილი პარტია, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” საზოგადოებრივ გამოკითხვებში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს აფიქსირებს კითხვაზე, „რომელ პარტიას არ მისცემდით ხმას არასდროს“ (Caucasus Barometer n.d.b; BM.ge 2023).

<u>გაერთიანების ძლიერ მხარეებს</u> შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორია. პირველ რიგში, გაერთიანების ძირითად ძალებს მმართველობაში ყოფნის ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნიათ და შესაბამისად, მათ მიმართ მხარდაჭერა ბევრად უფრო სტაბილური შეიძლება იყოს, ვიდრე სხვა ოპოზიციური აქტორების მიმართ. „ერთიანობის“ არსენალში კვლავ არის ენმ-ის მმართველობის დროს განხორციელებული წარმატებული რეფორმების მეხსიერება, რაც გაერთიანებულ ცენტრს საშუალებას აძლევს, კამპანიის დროს აქტიურად გამოიყენოს კონკრეტული ხედვები და მექანიზმები პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებით. ამასთან, გაერთიანების თითოეულ პარტიას ძლიერი კავშირები აქვს დასავლურ პოლიტიკურ წრეებთან. სამივე მათგანი ან “ევროპის სახალხო პარტიის” (ენმ, ევროპული საქართველო) ან “ალდეს” (სტრატეგია აღმაშენებელი) წევრი ან ასოცირებული წევრი პარტიაა. გარდა ამისა, „ერთიანობის“ ლიდერებს მნიშვნელოვანი და ინტენსიური კავშირები აქვთ ბრიუსელთან და ვაშინგტონთან, რაც მათ პოტენციურად საშუალებას აძლევს, სამომავლო კოალიციური მთავრობის შემადგენელი სუბიექტის რანგში ქვეყანას ევროპულ რელსებზე სწრაფად დაბრუნებასა და მის მიმართ დასავლეთის მხრიდან ნდობის აღდგენაში დაეხმაროს. ამავდროულად, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” ოპოზიციურ სპექტრში ერთადერთი პარტიაა, რომელსაც მთელი საქართველოს მასშტაბით გააჩნია საკუთარი რეგიონული წარმომადგენლობა და მეტნაკლებად ერთგული იდეოლოგიური ამომრჩეველი ჰყავს. ბოლოს, როგორც ცალკეული პარტია, თავისი რეგალიებით, განსაკუთრებით, საარჩევნო 5

ნომრით, ის ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი პოლიტიკური სუბიექტია, რაც ამომრჩევლის ფოკუსს ამკვეთრებს და მათი დაბნეულობის რისკებს აზღვევს.

მეორე მხრივ, ***გაერთიანების მიმართ ეჭვებს,*** შესაძლოა, რამდენიმე ფაქტორი იწვევდეს. პირველ რიგში, გაერთიანებულ ცენტრში თავი მოიყარა სამმა პოლიტიკურმა პარტიამ, რომელთა წევრების ძირითადი ნაწილი გარკვეულ პერიოდის განმავლობაში ერთი პარტიის ქვეშ მოღვაწეობდა. ცენტრის სახელიც მისი შემადგენელი ყველაზე მსხვილი პარტიის სახელწოდების მინიმალურ მოდიფიკაციას წარმოადგენს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ორი ძირითადი მიმართულების რისკები არსებობს: ერთი მხრივ, შესამჩნევია ერთი ძალის დომინაცია თავად გაერთიანების შიგნით; ხოლო მეორე მხრივ, ამ ეტაპზე საკმაოდ ბუნდოვანია უფრო ფართო ინტერპარტიული თანამშრომლობის პრაქტიკაში დადასტურებული პერსპექტივები. საკუთრივ ენმ-ის დომინანტურმა ელექტორალურმა რესურსმა, შესაძლოა, სამომავლოდ კოალიციური მოლაპარაკებების პროცესის მიტაცება გამოიწვიოს, და ამ რისკის დაზღვევას სხვა ოპოზიციური პარტიების მხრიდან, შესაბამისად, ძლიერი კონკურენცია და ლეგიტიმაცია დასჭირდება. გარდა ამისა, შესამჩნევია, რომ გენდერული კვოტების გაუქმების ფაქტორმა გაერთიანებაზე ამ მიმართულებით უარყოფითად იმოქმედა - „ერთიანობამ“ კონკრეტული ვალდებულების გარეშე გენდერულად დაბალანსებული სიის შენარჩუნება ვერ შეძლო, რაც ქალი პოლიტიკოსების ნაკლებობას იწვევს და, შესაძლოა, ამ საარჩევნო სუბიექტის ხარვეზად უნდა იქნას მიჩნეული, განსაკუთრებით ქალი ამომრჩევლის პერსპექტივიდან. ამასთან, „ერთიანობა“, რომლის შემადგენელი ყველაზე მსხვილი პარტიის მმართველობის დროს რუსეთ-საქართველოს ომი მოხდა, გაცხადებულად თავიდან ირიდებს ქვეყნის უსაფრთხოებაზე (ომისა და მშვიდობის დიქოტომიაზე) ამომრჩევლისთვის საკუთარი ხედვის შეთავაზებას (ცქიფურიშვილი 2024), რაც ამ კონკრეტული მიმართულებით პარტიის ხედვის მიმართ ამომრჩეველში ბუნდოვანებას იწვევს. ბოლოს,, ენმ-ს გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური ცენტრისთვის დამატებით რისკს წარმოადგენს პარტიიდან სხვადასხვა დროს გამოყოფილი სუბიექტებისა და განაყოფი პარტიების ფაქტორი (მაგალითად, “ახალი”), რომლებმაც, მოსალოდნელია, რომ ენმ-ს ამომრჩევლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიზიდოს.

ცხრილი 3: გაერთიანებული ცენტრის „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო უპირატესობები და სისუსტეები

ისტორიული სტაბილურობა	მმართველობაში მყოფი აქტორების ერთობა; ენმ-ს ელექტორალური მხარდაჭერა, მათ შორის რეგიონებში.	ამომრჩევლის მნიშვნელოვან ნაწილში მმართველობის პერიოდის ნეგატიური მეხსიერება .
ვიზუალური იდენტობა	ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ვიზუალური იდენტობის შენარჩუნება ცენტრის ცნობადობას ინარჩუნებს.	ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე კონცენტრირებული ვიზუალური იდენტობა თანაბარი თანამშრომლობის პერსპექტივას ამცირებს.
პარტიის შემადგენლობა	გამოცდილი ყოფილი ლიდერები, რომლებიც ოპოზიციური ამომრჩევლის მნიშვნელოვან ნაწილში ნდობის რესურსს ფლობენ.	ლიდერებზე მკვეთრი ფოკუსი; ქალებისგან ცენტრის მმართველი წრეების დაცლა (მიუხედავად იმისა, რომ მთავარი პარტიის ლიდერი ქალია).
რესურსები	მმართველობაში ყოფნის მემკვიდრეობა და რეგიონებში არსებული პარტიული რესურსები.	ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის “ახალის” მიერ ენმ-ს მიმართ წარსულში არსებული მხარდაჭერის პოტენციური გადაზიდვა.

წინასაარჩევნო შინაარსი	პროდასავლური პლატფორმის გარშემო გაერთიანება.	პოპულიზმისკენ მიდრეკილი შინაარსი; რიგი მნიშვნელოვანი თემებისგან თავის არიდება.
შიდაპოლიტიკური ურთიერთობები		პოლიტიკური პროცესის დომინაციისკენ მიდრეკილი ძალა.
საერთაშორისო ურთიერთობები	ძლიერი კავშირები ევროპულ და, ზოგადად, დასავლურ პოლიტიკურ ელიტებთან.	

წყარო: *ავტორების მიერ დამუშავებული მასალა*

- ***ძლიერი საქართველო: პროდასავლური ოპოზიციური ცენტრის მნიშვნელოვანი აქტორი***

"ძლიერი საქართველო" რამდენიმე პარტიას აერთიანებს - **"ლელო საქართველოსთვის"; "ანა დოლიძე - ხალხისთვის"; "მოქალაქეები" და პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების მოედანი".** "ძლიერი საქართველო" "თავისუფლების, განვითარებისა და პატრიოტიზმის" გარშემო ერთიანდება და მის საარჩევნო სიაში წარმოდგენილი არიან როგორც ძველი, ასევე ახალი სახეები სხვადასხვა სფეროდან. "ძლიერი საქართველო", "კოალიცია ცვლილებებისთვის" და "გახარია - საქართველოსთვის" გაერთიანებებთან (Formula News 2024) ერთად, მნიშვნელოვან პროევროპულ საპირწონე ძალას ქმნის იმ მოთამაშეების საპირისპიროდ, რომლებიც სხვადასხვა დროს ქვეყნის მმართველ ძალას წარმოადგენდნენ.

<u>**გაერთიანების უპირატესობებს შორის სხვადასხვა ფაქტორის გამოყოფა შეიძლება.**</u> პირველ რიგში, "ძლიერი საქართველო", "კოალიცია ცვლილებებისთვის" მსგავსად, რამდენიმე პარტიას აერთიანებს, რაც მათ პლატფორმას უფრო მეტად მრავალფეროვანს ხდის და სხვადასხვა პროფილის ამომრჩევლების მოზიდვის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, საარჩევნო სიაში, გამოცდილ პოლიტიკოსებთან ერთად, ბევრი ახალი სახეა, ვისაც აქამდე

აქტიურ პოლიტიკასთან შეხება არ ჰქონია, რაც ასევე შესაძლოა, გაერთიანების უპირატესობად მივიჩნიოთ. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ "ძლიერი საქართველოს" საარჩევნო სია ახალი სახეებისა და გამოცდილი პოლიტიკოსების კომბინაციას წარმოადგენს (რადიო თავისუფლება, 2024d) რაც შესაძლოა გადაუწყვეტელი ამომრჩევლისთვის ფაქტორი იყოს. გარდა ამისა, გენდერულად მეტად დაბალანსებული საარჩევნო სია კიდევ ერთ უპირატესობად შეგვიძლია მივიჩნიოთ, განსაკუთრებით საპარლამენტო გენდერული კვოტების გაუქმების კონტექსტში (იგივე): "ძლიერი საქართველოს" სიის პირველ ოცეულში 9 ქალი კანდიდატია. გარდა ამისა, გაერთიანებას 25 სექტემბერს, საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი შეუერთდა (რადიო თავისუფლება 2024c), რაც, შესაძლოა, ამომრჩევლის მნიშვნელოვანმა ნაწილმა პოზიტიურ ფაქტორად მიიჩნიოს გამომდინარე იქიდან, რომ მარგველაშვილს, პირველ რიგში, აქვს სახელმწიფოს მართვის გამოცდილება და ამავდროულად, მან შექმნა ძალაუფლების მშვიდობიანად გადაბარების პრეცედენტი, როდესაც სალომე ზურაბიშვილს, მისი არჩევის შემდეგ, უფლებამოსილება ოფიციალურად გადააბარა. ბოლოს, "ძლიერი საქართველო" მეტ-ნაკლებად აქტიურად არის წარმოდგენილი რეგიონებში, რაც წინასაარჩევნოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და საშუალებას იძლევა, გაერთიანების საარჩევნო პროგრამაში მეტად აისახოს რეგიონული საკითხები (სამხარაძე 2024).

თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაერთიანებაში წამყვანი როლი პარტიას "ლელო საქართველოსთვის" უკავია, რაც მის ვიზუალურ იდენტობაშიც შესამჩნევია, და რაც, შესაძლოა, <u>გარკვეულ კითხვის ნიშნებს</u> გაერთიანების შიგნით ბალანსისა და გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების შესახებ აჩენდეს. გარდა ამისა, გაერთიანების ლიდერების ნაწილის იმიჯი ამომრჩევლის ნაწილში ასევე გარკვეული კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რასაც ასევე შეიძლება მის ელექტორალურ წარმატებაზე უარყოფითი ეფექტი ჰქონდეს. ბოლოს, "გახარია - საქართველოსთვის" პარტიასთან პრეზიდენტის შუამდგომლობით მიმდინარე მოლაპარაკებებმა მართალია, ერთი მხრივ, აჩვენა კოალიციის მზაობა თანამშრომლობისთვის, თუმცა, მეორე მხრივ, ამ მოლაპარაკებების ჩაშლამ და პროცესის გარშემო მიმდინარე დისკუსიამ (Civil.Ge 2024a) "ძლიერი საქართველოს" მიმართ გარკვეული ეჭვები და შეკითხვები გააჩინა საზოგადოებაში, რაც, შესაძლოა, გაერთიანებისთვის სისუსტეში გადაითარგმნოს. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც პოტენციურ კოალიციურ მთავრობასა და საარჩევნო სუბიექტებს შორის ურთიერთთანამშრომლობაზე წინასაარჩევნოდ მზარდი აქცენტი კეთდება.

ცხრილი 4: გაერთიანება "ძლიერი საქართველოს" წინასაარჩევნო უპირატესობები და სისუსტეები

ისტორიული სტაბილურობა	პარლამენტში ყოფნის გამოცდილება; პირველი არჩევნების პოზიტიური გამოცდილება.	პარტიის ლიდერების ნაწილის მიმართ საზოგადოების ნაწილში არსებული უარყოფითი დამოკიდებულება
ვიზუალური იდენტობა	განახლებული ვიზუალური იდენტობა, თუმცა პარტია "ლელო საქართველოსთვის"ვიზუალური იდენტობის ძლიერი ელემენტებით.	
პარტიის შემადგენლობა	მრავალფეროვანი შემადგენლობა და პარტიის პირველ ოცეულში ქალების მნიშვნელოვანი რაოდენობა.	
რესურსები	მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები / პარლამენტში ყოფნის გამოცდილება.	
წინასაარჩევნო შინაარსი	გაცხადებული პროევროპული და პროდემოკრატიული პლატფორმა.	იდეოლოგიურად განსხვავებული პარტიების ერთობა, რამაც შესაძლოა გაერთიანების სტაბილურობას საფრთხე შეუქმნას.
შიდაპოლიტიკური ურთიერთობები	მოლაპარაკებების და ინტერპარტიული თანამშრომლობის გამოცდილება.	პარტია "ლელო საქართველოსთვის" დომინირება გაერთიანებაში და გაერთიანების შიგნით ბალანსის შესახებ გარკვეული შეკითხვების არსებობა.
საერთაშორისო ურთიერთობები	ევროკავშირის ALDE-ს პარტიათა ალიანსის წევრი.	

წყარო: ავტორების მიერ დამუშავებული მასალა

- *კოალიცია ცვლილებებისთვის: იდეოლოგია, როგორც გამაერთიანებელი ღერძი?*

“კოალიცია ცვლილებებისთვის” პარტიების **“ახალი”, “დროა” და “გირჩი - მეტი თავისუფლება” გაერთიანებას** წარმოადგენს და მის საარჩევნო სიაში, “ძლიერი საქართველოს” მსგავსად, წარმოდგენილი არიან როგორც ძველი, ასევე ახალი სახეები. “კოალიცია ცვლილებებისთვის”, სხვა რამდენიმე აქტორთან ერთად (Formula News 2024), წინასაარჩევნოდ მნიშვნელოვან პროევროპულ ძალას წარმოადგენს და კოალიციის შემადგენელი პარტიები პროდასავლური ლიბერალური პლატფორმის გარშემო არიან გაერთიანებული.

<u>**გაერთიანების უპირატესობებს შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის გამოყოფაა შესაძლებელი.**</u> პირველ რიგში, “კოალიცია ცვლილებებისთვის” იდეოლოგიურად მეტ-ნაკლებად ახლოს მდგომ პარტიებს აერთიანებს და ლიბერალური პლატფორმით ამომრჩევლების კონკრეტულ სეგმენტზე აქვს სწორება, რაც, შესაძლოა, გაერთიანებისთვის პოზიტიური ფაქტორი აღმოჩნდეს და მას ლოიალური ამომრჩევლის მოზიდვაში დაეხმაროს. გარდა ამისა, გაერთიანებული პლატფორმის საარჩევნო სიის პირველი ნომერი ნანა მალაშხიაა, ქალი ევროკავშირის დროშით, რომელიც საჯარო მოხელეა და აქამდე აქტიურ პარტიულ პოლიტიკაში არ ყოფილა (Civil.Ge 2024b). ეს ნაბიჯი, ასევე შესაძლოა, პლატფორმის უპირატესობად მივიჩნიოთ, რადგან ნანა მალაშხია ახალი სახეა და მის მიმართ საზოგადოებას დადებითი დამოკიდებულება აქვს, შესაბამისად, მის მიმართ ნდობაც მაღალია, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს ახალი სახეების მომლოდინე გადაუწყვეტელი ამომრჩევლისთვის. ასევე, მას აქვს საჯარო სექტორში მუშაობის პროფესიული გამოცდილება. თუმცა, ამ ყველაფერთან ერთად, მის საარჩევნო სიაში ყოფნას სიმბოლური დატვირთვაც აქვს, რამდენადაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ქვეყნის ევროპული კურსის დადასტურების ერთგვარ რეფერენდუმად აღიქმება. ნანა მალაშხიასთან ერთად, საარჩევნო სიის პირველ ოცეულში სხვა ახალი სახეებიც არიან, მათ შორის ახალგაზრდები, რაც კოალიციას ახალი ამომრჩევლების მოზიდვის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ “კოალიცია ცვლილებებისთვის” წევრი პარტიები ასევე არიან პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული “ქართული ქარტიის” ხელმომწერები (Civil.Ge 2024c), რაც მათი მხრიდან სხვა პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობისთვის მზაობისკენ მიუთითებს. ასევე, პოზიტიურ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს საარჩევნო სიის ოცეულში ქალების რაოდენობა (8 ქალი).

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიის პირველ ათეულში მხოლოდ ორი ქალი კანდიდატია (Civil.Ge 2024b), რაც, შესაძლოა დამატებითი კრიტიკის საფუძველი გახდეს კოალიციის მიმართ. გარდა ამისა, ერთი მხრივ, “ახალს” აქვს ენმ-ს ამომრჩევლების ნაწილის ამ

კოალიციისკენ მოზიდვის პოტენციალი, რაც შეიძლება დადებით ფაქტორად შეფასდეს. თუმცა, მეორე მხრივ, პოლიტიკური ლიდერების ნაწილის წარსულში ენმ-სთან ასოცირება გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენს ამომრჩეველში და, შესაბამისად, გაერთიანების მიმართ ნდობასაც ამცირებს, განსაკუთრებით არსებული პოლიტიკური პოლარიზაციისა და მმართველი პარტიის მიმდინარე საარჩევნო კამპანიის პირობებში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოალიციის ერთ-ერთი ლიდერის, ნაციონალური მოძრაობის ყოფილი მაღალჩინოსნის, ნიკა გვარამიას გადაწყვეტილებას პარტიულ სიაში ყოფნაზე უარის შესახებ (რადიო თავისუფლება 2024c), სავარაუდოდ, პოზიტიური გავლენა ექნება კოალიციის პოზიციონირებაზე. ბოლოს, მართალია კოალიციაში შემავალი პარტიები ლიბერალური პლატფორმის გარშემო არიან გაერთიანებული, რაც იდეოლოგიურ სტაბილურობაზე მიუთითებს. თუმცა, დრო გვიჩვენებს რამდენად მოახერხებს აღნიშნული ახლადშექმნილი პლატფორმა, მცირე დროში ელექტორალურად ამომრჩევლის უფრო ფართო სეგმენტზე გასვლას.

ცხრილი 5: *გაერთიანება "კოალიცია ცვლილებებისთვის" წინასაარჩევნო უპირატესობები და სისუსტეები*

ისტორიული სტაბილურობა	იდეოლოგიური სტაბილურობა.	პარტიის ლიდერების ნაწილის მიმართ ამომრჩეველში არსებული უარყოფითი დამოკიდებულება.
ვიზუალური იდენტობა	ახალი ვიზუალური იდენტობა გაერთიანებაში შემავალი სუბიექტების ელემენტებით.	
პარტიის შემადგენლობა	მრავალფეროვანი შემადგენლობა და პარტიის პირველ ოცეულში ქალებისა და ახალგაზრდების მნიშვნელოვანი რაოდენობა.	პარტიის პირველ ათეულში ქალების არასაკმარისი წარმომადგენლობა; წინა ხელისუფლებასთან ასოცირებული ლიდერების პარტიული სიის სათავეში ყოფნა.

რესურსები	კომუნიკაციაში სოციალური მედიისა და კრეატიული კომუნიკაციის ფორმების გამოყენება.	
წინასაარჩევნო შინაარსი	გაცხადებული პროევროპული და პროდემოკრატიული , ასევე, საერთო ლიბერალური პლატფორმა.	ლიბერალური პლატფორმა, შესაძლოა, ამავდროულად, ამომრჩევლის მხოლოდ მცირე სეგმენტისთვის იყოს მიმზიდველი.
შიდაპოლიტიკური ურთიერთობები	კოალიცია საერთო იდეოლოგიური პლატფორმის გარშემო ერთიანდება და მის შემადგენელ პარტიებს შორის ბალანსი მეტ-ნაკლებად დაცულია.	
საერთაშორისო ურთიერთობები	ევროკავშირის ALDE-ს პარტიათა ალიანსის წევრი.	

წყარო: *ავტორების მიერ დამუშავებული მასალა*

დასკვნა: ვის და რას ირჩევს საქართველო 2024 წელს?

მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის განსაზღვრისთვის ერთ-ერთ მთავარ წყალგამყოფად მიიჩნევა, რაც ზრდის ქართველი ამომრჩევლისთვის იმის მნიშვნელობას, თუ ვის უნდა მისცეს ხმა 2024 წლის არჩევნებში. ერთი შეხედვით, წინასაარჩევნო გარემო ქართული პოლიტიკური კულტურისთვის უჩვეულოდ არააგრესიულია, თუმცა ეს სურათი უფრო მეტად ჰგავს სიმშვიდეს ქარიშხლის წინ: საარჩევნო პროცესი და მისი შედეგები, საბოლოოდ ეგზისტენციალური მნიშვნელობის იქნება საქართველოსთვის. ასეთ დროს, პოლიტიკური საარჩევნო სუბიექტები ქვეყნის ევროპული მომავლის გადარჩენისთვის ბრძოლის ავანგარდში არიან.

იმისთვის, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ეს ფუნდამენტური ფუნქცია წარმატებით აიღონ თავის თავზე, მათ ამომრჩეველმა საარჩევნო ყუთებთან ძლიერი ნდობა უნდა გამოუცხადოს. აქამდე, ქართველ ამომრჩეველს არჩევანის გაკეთება, ძირითადად, ორ მსხვილ ძალას - "ქართულ ოცნებასა" და "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" შორის უწევდა. საზოგადოებას, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში, ძლიერ დაკვეთას აფიქსირებდა პარტიათაშორისი თანამშრომლობებისა და კოალიციური მმართველობის მიმართ, ახლა საშუალება აქვს, სხვადასხვა მეტნაკლებად თანაბრად ანგარიშგასაწევი მოთამაშიდან რომელიმეს ენდოს. პარტიების სიძლიერეებისა და რისკების სიღრმისეულმა ანალიზმა საფუძველი უნდა დაუდოს ამომრჩეველსა და პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ამგვარი კავშირის შექმნას, რაც არასდროს ყოფილა ისე მნიშვნელოვანი, როგორც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ზურაბიშვილი, სალომე. 2024. Georgia's next election will be referendum for or against Europe: President Zourabichvili. Available at: https://www.france24.com/en/tv-shows/talking-europe/20240503-georgias-nextelection-will-be-referendum-for-or-against-europe-president-zourabichvili

იმედი 2024a. კიდევ ერთი ახალი გზის მოწყობის სამუშაო დასრულდა რუსთავში. https://www.imedi.ge/ge/video/170274/kidev-erti-akhali-gzis-motskobis-samushao-dasrulda-rustavshi

იმედი 2024b. ბაღდათი-აბასთუმნის გზის და აბასთუმნის შემოვლითი გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია გრძელდება. https://www.imedi.ge/ge/video/170273/bagdatiabastumnis-gzis-da-abastumnis-shemovliti-gzis-msheneblobareabilitatsia-grdzeldeba

კალაძე, კახა. 2024. 29 აპრილის საყოველთაო სახალხო შეკრება. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=3792722951008983

კობახიძე, ირაკლი. 2024. ბრიფინგი. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=819687123687787

რადიო თავისუფლება. 2024a. „20 ივნისს უფრო ცოტა ადამიანს ჰქონდა გააზრებული რამდენად „რუსეთუმე“ მთავრობა გვყავდა“ - მაკო გომური. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=D16Ka7FBfAc

რადიო თავისუფლება. 2024b. გიორგი გახარიამ “ქართულ ქარტიას” ხელი მოაწერა. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33130705.html

რადიო თავისუფლება. 2024c. გიორგი მარგველაშვილი პარტია „ძლიერ საქართველოს“ შეუერთდა. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/amp/33134954.html

რადიო თავისუფლება. 2024d. „ძლიერმა საქართველომ“ პარტიული სიის შემადგენლობა დაასახელა. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/amp/33136067.html

რადიო თავისუფლება. 2024e. ნიკა გვარამია „კოალიცია ცვლილებისთვის“ პარტიულ სიაში არ იქნება. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/amp/33134428.html

სამხარაძე, ნინო. 2024. პოლიტიკა ყოველთვის ადგილობრივია: რატომ არის მნიშვნელოვანი დემოკრატიული გარღვევა რეგიონებში? ხელმისაწვდომია: https://gip.ge/ka/publication-post/politika-yoveltbis-adgilobrivia-ratom-aris-mnishvnelovani-demokratiuli-gargveva-regionebshi/

ქართული ოცნება 2024a. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/pfbid02aAJTHs2BwRS46GVfM1tstEfGWadgCBAFNg8AqFox1FTtaXhZArErJ1zv1FsbWdeYl

ქართული ოცნება 2024b. ხელმისაწვდომია: ttps://www.facebook.com/photo/?fbid=1070769791080485&set=a.488868739270596

ჩიჩუა, ნინო. 2021 7 საკრებულო, რომელიც ოპოზიციურია. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/572995/

ცქიფურიშვილი, ნათია. 2024. შანტაჟი ომით — რა სტრატეგია აქვს ოპოზიციას „ოცნების“ საარჩევნო კონსპირაციებზე. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/732903/

ძლიერი საქართველო 2024. ჩვენ შესახებ. ხელმისაწვდომია: https://dzlieri9.ge/aboutus/istoria/

BM.ge. 2023. მომავალ შაბათს რომ არჩევნები იყოს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას? - IRI-ის კვლევა. ხელმისაწვდომია: https://bm.ge/news/momaval-shabats-rom-archevnebi-iyos-romel-partias-mistsemdit-khmas-iri-is-kvleva

Caucasus Barometer, n.d.a რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/cb-ge/PARTYSUPP/

Caucasus Barometer, n.d.b. რომელ პარტიას არასოდეს მისცემდით ხმას? ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/ndi-ge/VOTNEVR/

Civil.ge 2024a. „ძლიერი საქართველო“ და გახარიას „საქართველოსთვის“ საარჩევნო ალიანსზე ვერ შეთანხმდნენ. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/625281/amp

Civil.ge 2024b. „კოალიციამ ცვლილებისთვის“ დეპუტატობის კანდიდატთა სია გაასაჯაროვა. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/626296/amp

Civil.ge 2024c. ოპოზიციურმა პარტიებმა ქართულ ქარტიას ხელი მოაწერეს. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/611150/amp

Formula News 2024. Edison Research-ის კვლევა 17-29 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=RfOASkONCS8ISFED 2024. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდის გარემოს შეფასება. https://isfed.ge/geo/2024-saparlamento/2024-tslis-saparlamento-archevnebis-tsina-periodis-garemos-shefaseba

Linderman, Laura. 2024. Rising Stakes in Tbilisi as Elections Approach. https://civil.ge/archives/622937

Thornton, Laura. 2024. Georgia faces crucial vote: A future with the West or future allied with Russia. https://thehill.com/opinion/4863874-georgian-dream-party-democracy-threat/

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

ნინო სამხარაძე, ნინი კვირიკაშვილი, „ვის ირჩევს საქართველო 2024 წელს? საარჩევნო სუბიექტები - უპირატესობები და სისუსტეები“ წესები პარლამენტში“ პოლიტიკის მემორანდუმი #75, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ოქტომბერი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024
13 ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, 0107 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 599 99 02 12
ელ-ფოსტა: info@gip.ge

მეტი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:
www.gip.ge